

შპს „სერვის 7“

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და ამ თარიღით დამთავრებული წლისათვის ფინანსური
ანგარიშგება

და მასზე გაცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	7
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	11
1. კომპანია და მისი საქმიანობა	11
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა	11
3. ძირითადი საშუალებები	23
4. სავაჭრო დებიტორული დავალიანება (ნეტო)	25
5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	25
6. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	26
7. რემონტის ხარჯი.....	26
8. სხვა ზარალი	26
9. გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები	26
10. ფინანსური რისკების მართვა	26
11. კაპიტალის მართვა	28
12. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება	28
13. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით.....	28
14. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	29
15. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები.....	30
მმართველობითი ანგარიში.....	32
1. კომპანიის სადამფუძნებლო ინფორმაცია (მოკლე მიმოხილვა)	32
2. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა.....	32
3. აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	33
4. საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.....	34
5. სავალუტო რისკი	35
6. საბაზრო რისკი	35
7. საპროცენტო განაკვეთის რისკი.....	35
8. ადმინისტრაციული მართვა	35
9. სამომავლო გეგმები და ხედვები	35
10. მმართველობითი ანგარიშგების დამტკიცება.....	35

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ვის: შპს „სერვის 7“-ის დამფუძნებლებს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ განვახორციელეთ შპს „სერვის 7“-ის (შემდგომში, „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე, ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველში“- აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში, ტექსტში, ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

- **სასაქონლო მატერიალური მარაგების ფიზიკური არსებობის დადასტურება და ახსნა განმარტებითი შენიშვნა** კომპანიის აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სისტემის სხვა ლიმიტაციის გამო, ჩვენ არ გვქონდა საშუალება დავრწმუნებულიყავით სასაქონლო მატერიალური მარაგების რაოდენობასთან დაკავშირებით სხვა აუდიტის პროცედურების მეშვეობით. ჩვენ ვერ მოვახერხეთ სასაქონლო მარაგების ფინანსურ ელემენტის თვითღირებულების შემოწმების მიზნით აუდიტის პროცედურების ჩატარება. კომპანიას ასევე არ წარუდგენია სასაქონლო მატერიალური მარაგების ახსნა განმარტებითი შენიშვნა ბასს 2 - მარაგების მოთხოვნების მიხედვით. ამ მიზეზთა გამო, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რამე სახის ჩასწორება წარდგენილი სასაქონლო მატერიალური მარაგების წარდგენილ მონაცემებთან და მასთან დაკავშირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული სხვა ფინანსურ ელემენტებთან დაკავშირებით. ამასთანავე, ჩვენი მოსაზრება მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე ასევე მოდიფიცირებულია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილი და მიმდინარე სასაქონლო მატერიალური მარაგების ციფრების შესადარისობაზე ამ საკითხების პოტენციური გავლენის გამო.
- **კაპიტალში შემოტანილი არაფულადი აქტივების ასახვა** - კომპანიის არსებობის მანძილზე დამფუძნებელს კაპიტალის გაზრდის გზითშემოტანილი აქვს არაფულადი აქტივების სასაქონლო მატერიალური მარაგები და ძირითადი საშუალებები. ფასს-ების შესაბამისად ასეთი ოპერაციები უნდა იქნას ასახული ფასს -13 სამართლიანი ღირებულების შესაბამისად გამოთვლილ აქტივის სამართლიანი ღირებულებით. 2022 წლის 1 იანვრამდე აქტივის შენატანის საფუძველზე კაპიტალის ზრდა ხორციელდებოდა აქტივის გარკვეული ნომინალური ღირებულებით. ამ აქტივების და შებამისად ოპერაციის ღირებულების შეფასება არ შესაბამისობადა ფასს -13 შესაბამისად განსაზღვრულ სამართლიან ღირებულებას. 2022 წლის 1 იანვრის შემდეგ ასეთი სახის ოპერაციები შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით და სამართლიან ღირებულებასა და გამოცხადებული კაპიტალის ცვლილების თანხას შორის სხვაობა ასახულია განცალკევებული კაპიტალის მუხლის სხვა დეფიციტის სახით 1,593 და 1,852 ათასი ლარის ოდენობით, 2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრისათვის შესაბამისად. ჩვენ ვთვლით რომ 2022 წლის 1 იანვრის შემდეგ დანერგილი პრაქტიკა შესაბამისობაშია ფასს-ების მოთხოვნებთან, თუმცა 2022 წლის 1 იანვრამდე მომხდარი ასეთი სახის

ოპერაციების ასახვა ფასს-ებთან შეუსაბამოდ არის ასახული. ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ რა თანხებით უნდა ასახული 2022 წლის 1 იანვრამდე მომხდარი არამონეტარული აქტივების შეტანით განმხორციელებული კაპიტალის ცვლილების ოპერაციები, შედეგად ვერ განვსაზღვრეთ რა ნაშთის სახით უნდა ყოფილიყო ასახული დამატებითი კაპიტალის/სხვა დეფიციტის მუხლი 2022 წლის 1 იანვარის მდგომარეობით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში, ტექსტში, ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების **2.30.4**. ე შენიშვნის - საწარმოს უწყვეტობის პრინციპი - ნაწილზე, რომელიც ასახავს რომ: „კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბრისათვის აკუმულირებულმა ზარალმა შეადგინა 65,906 ლარი. კომპანიის მომავალი ფუნქციონირება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია დამფუძნებლის მხრიდან დაფინანსებაზე. კომპანიის მენეჯმენტი თვლის რომ, კომპანია ქვეყნის ტურისტული და რეგიონალური განვითარების უმნიშვნელოვანესი რგოლია. ამასთანავე, მენეჯმენტისათვის არ არის ცნობილი დამფუძნებლის მხრიდან რამე სახის კომპანიასთან დაკავშირებულ რეორგანიზაციის გეგმებზე. ამ დაშვებათა გათვალისწინებით, კომპანია თვლის, რომ სახელმწიფო და კომპანიის დამფუძნებელი მომავალშიც გააგრძელებს კომპანიის დაფინანსებას და მხარდაჭერას, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მომავალი შეუფერხებელი და მდგრადი ფუნქციონირება. ამ პირობების გათვალისწინებით, მენეჯმენტი თვლის, რომ „ფუნქციონირების უწყვეტობის“ დაშვება მართებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.“ ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებაში.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის 2025 წლის 15 ივლისს დათარიღებულ მართვლობით ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად — გვერდის შემდეგ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას, და გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში გაცემული დასკვნისა არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა, ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემო აღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში ასახული შეზღუდვის გამო ჩვენ ვერ შევძელით დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას ამ მიმართებით, გარდა ამისა ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობის ან შეცდომებით გამოწვეულ, ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის

შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებლო მოთხოვნებზე

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (შემდგომ ტექსტში კანონი) კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ 2025 25 ივლისის დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასვენასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 45 გვერდის შემდეგ. კანონის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)

მმართველი პარტნიორი

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია

2025 წლის 25 ივლისს.

თბილისი, საქართველო

შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმვლი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებლო მოთხოვნებზე

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (შემდგომ ტექსტში კანონი) კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ 2025 25 ივლისის დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 45 გვერდის შემდეგ. კანონის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)

მმართველი პარტნიორი

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია

2025 წლის 25 ივლისს.

თბილისი, საქართველო



შპს „სერვის 7“-ის ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	4,285	4,662
არამატერიალური აქტივები		3	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,288	4,662
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები		1,295	1,109
სავაჭრო დებიტორული დავალიანება (ნეტო)	4	6	15
გადახდილი ავანსები		76	11
მოკლევადიანი საბანკო ანაზრები - ანზრის დასრულებამდე		-	1,150
გამოთხოვნის უფლების გარეშე			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	5	2,409	442
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,786	2,727
სულ აქტივები		8,074	7,389
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
განთავსებული კაპიტალი	2.23	72,641	72,877
არამონეტარული აქტივების კაპიტალში შემოტანით	2.30.1	(1,593)	(1,852)
გამოწვეული დეფიციტი			
აკუმულირებული ზარალი		(65,906)	(66,691)
გადაფასების რეზერვი		2,821	2,950
სულ საკუთარი კაპიტალი		7,963	7,284
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	6	111	105
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		111	105
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		8,074	7,389

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 25 ივლისს.

ბნ. ვახტანგ ტუკვაძე, დირექტორი

ქნ. ცირა ბერიძე, მთავარი ბუღალტერი

შპს „სერვის 7“-ის ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	4,285	4,662
არამატერიალური აქტივები		3	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,288	4,662
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები		1,295	1,109
სავაჭრო დებიტორული დავალიანება (ნეტო)	4	6	15
გადახდილი ავანსები		76	11
მოკლევადიანი საბანკო ანაზრები - ანზრის დასრულებამდე		-	1,150
გამოთხოვნის უფლების გარეშე			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	5	2,409	442
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,786	2,727
სულ აქტივები		8,074	7,389
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
განთავსებული კაპიტალი	2.23	72,641	72,877
არამონეტარული აქტივების კაპიტალში შემოტანით	2.30.1	(1,593)	(1,852)
გამოწვეული დეფიციტი			
აკუმულირებული ზარალი		(65,906)	(66,691)
გადაფასების რეზერვი		2,821	2,950
სულ საკუთარი კაპიტალი		7,963	7,284
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	6	111	105
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		111	105
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		8,074	7,389

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 25 ივლისს.

ბნ. ვახტანგ ტუკვაძე, დირექტორი

ქნ. ცირა ბერიძე, მთავარი ბუღალტერი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2024 დასრულებული წლისთვის	31.12.2023 დასრულებული წლისთვის
საოპერაციო შემოსავლები:			
ამონაგები (მომსახურების გაწევა)		3,964	2,759
იჯარიდან მიღებული შემოსავალი		96	78
ხარჯები:			
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(2,056)	(1,541)
რემონტის ხარჯები	7	(608)	(700)
ცვეთა და ამორტიზაცია		(352)	(308)
საგადასახადო ხარჯები		(96)	(152)
კომუნალური და დაცვის ხარჯები		(140)	(143)
რეალიზებული პლასტიკური ბარათები		(57)	(37)
საკონსულტაციო ხარჯები		(3)	(27)
ოფისის ხარჯები		(11)	(10)
სხვა საერთო ხარჯები		(106)	(102)
ძირითადი საშუალებების ჩამოფასების შედეგი (ნეტო)		(3)	(97)
სხვა ზარალი	8	(106)	(5)
საპროცენტო შემოსავალი		134	99
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)		656	(186)
სხვა სრული შემოსავლი			
ფინანსური ელემენტები რომლებიც არ შეიძლება რომ შემდგომში			
რეკლასიფიცირებული იყოს მოგება/ზარალი			
ძირითადი საშუალებების აფასება		-	351
სულ სხვა სრული შემოსავლი		-	351
წლის სრული მოგება		656	165

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 25 ივლისს.

ბნ. ვახტანგ ტუკვაძე, დირექტორი

ქნ. ცირა ბერიძე, მთავარი ბუღალტერი

შპს „სერვის 7“-ის ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2024 დასრულებული წლისთვის	31.12.2023 დასრულებული წლისთვის
საოპერაციო შემოსავლები:			
ამონაგები (მომსახურების გაწევა)		3,964	2,759
იჯარიდან მიღებული შემოსავალი		96	78
ხარჯები:			
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(2,056)	(1,541)
რემონტის ხარჯები	7	(608)	(700)
ცვეთა და ამორტიზაცია		(352)	(308)
საგადასახადო ხარჯები		(96)	(152)
კომუნალური და დაცვის ხარჯები		(140)	(143)
რეალიზებული პლასტიკური ბარათები		(57)	(37)
საკონსულტაციო ხარჯები		(3)	(27)
ოფისის ხარჯები		(11)	(10)
სხვა საერთო ხარჯები		(106)	(102)
ძირითადი საშუალებების ჩამოფასების შედეგი (ნეტო)		(3)	(97)
სხვა ზარალი	8	(106)	(5)
საპროცენტო შემოსავალი		134	99
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)		656	(186)
სხვა სრული შემოსავლი			
ფინანსური ელემენტები რომლებიც არ შეიძლება რომ შემდგომში რეკლასიფიცირებული იყოს მოგება/ზარალში			
ძირითადი საშუალებების აფასება		-	351
სულ სხვა სრული შემოსავალი		-	351
წლის სრული მოგება		656	165

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 25 ივლისს.

ბნ. ვახტანგ ტუკვაძე, დირექტორი

ქნ. ცირა ბერიძე, მთავარი ბუღალტერი

შპს „სერვის 7“-ის ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31.12.2024 დასრულებული წლისთვის	31.12.2023 დასრულებული წლისთვის
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	4,797	3,337
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები და გადახდილი გადასახადები	(4,062)	(3,522)
ოპერირებიდან დაგენერირებული/გამოყენებული ფულადი სახსრები ნეტო	735	(185)
საპროცენტო შემოსავალი	134	58
საოპერაციო საქმიანობით დაგენერირებული/გამოყენებული ნეტო	869	(127)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(49)	(122)
არამატერიალური აქტივის შეძენა	(3)	
ვადიან დეპოზიტზე თანხის მიღება / (განთავსება) ნეტო	1,150	100
საინვესტიციო საქმიანობისთვის დაგენერირებული/გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	1,098	(22)
ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების ნეტო ზრდა / (შემცირება)	1,967	(149)
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულზე და ფულის ეკვივალენტებზე	-	-
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	442	591
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს	2,409	442

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 25 ივლისს.

ბნ. ვახტანგ ტუკვაძე, დირექტორი

ქნ. ცირა ბერიძე, მთავარი ბუღალტერი

შპს „სერვის 7“-ის ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31.12.2024 დასრულებული წლისთვის	31.12.2023 დასრულებული წლისთვის
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	4,797	3,337
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები და გადახდილი გადასახადები	(4,062)	(3,522)
ოპერირებიდან დაგენერირებული/გამოყენებული ფულადი სახსრები ნეტო	735	(185)
საპროცენტო შემოსავალი	134	58
საოპერაციო საქმიანობით დაგენერირებული/გამოყენებული ნეტო	869	(127)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(49)	(122)
არამატერიალური აქტივის შეძენა	(3)	-
ვადიან დეპოზიტზე თანხის მიღება / (განთავსება) ნეტო	1,150	100
საინვესტიციო საქმიანობისთვის დაგენერირებული/გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	1,098	(22)
ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების ნეტო ზრდა / (შემცირება)	1,967	(149)
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულზე და ფულის ეკვივალენტებზე	-	-
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	442	591
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს	2,409	442

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 25 ივლისს.

ბნ. ვახტანგ ტუკვაძე, დირექტორი

ქნ. ცირა ბერიძე, მთავარი ბუღალტერი

შპს „სერვის 7“-ის ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	განთავსებული კაპიტალი	არამონეტარ ული აქტივების კაპიტალში შემოტანით გამოწვეული დეფიციტი	აკუმული რებული ზარალი	გადაფასების რეზერვი	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის (ჩასწორებული)	69,877	-	(66,505)	2,599	5,971
კაპიტალის ზრდა ან/და არაფულადი შენატანით	3,000	(1,852)	-	-	1,148
წლის სრული მოგება/(ზარალი)	-	-	(186)	351	165
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის	72,877	(1,852)	(66,691)	2,950	7,284
კაპიტალის ზრდა ან/და არაფულადი შენატანით	33	3	-	-	36
წლის სრული მოგება/(ზარალი)	-	-	656	-	656
რეზერვის მოძრაობა	-	-	129	(129)	-
კაპიტალიდან გატანა	(269)	256	-	-	(13)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის	72,641	(1,593)	(65,906)	2,821	7,963

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 25 ივლისს.

ბნ. ვახტანგ ტუკვაძე, დირექტორი

ქნ. ცირა ბერიძე, მთავარი ბუღალტერი

შპს „სერვის 7“-ის ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)



საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	განთავსებული კაპიტალი	არამონეტარ ული აქტივების კაპიტალში შემოტანით გამოწვეული დეფიციტი	აკუმული რებული ზარალი	გადაფასების რეზერვი	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის (ჩასწორებული)	69,877	-	(66,505)	2,599	5,971
კაპიტალის ზრდა არაფულადი შენატანით	3,000	(1,852)	-	-	1,148
წლის სრული მოგება/(ზარალი)	-	-	(186)	351	165
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის	72,877	(1,852)	(66,691)	2,950	7,284
კაპიტალის ზრდა არაფულადი შენატანით	33	3	-	-	36
წლის სრული მოგება/(ზარალი)	-	-	656	-	656
რეზერვის მოძრაობა	-	-	129	(129)	-
კაპიტალიდან გატანა	(269)	256	-	-	(13)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის	72,641	(1,593)	(65,906)	2,821	7,963

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 25 ივლისს.

ბნ. ვახტანგ ტუკვაძე, დირექტორი

ქნ. ცირა ბერიძე, მთავარი ბუღალტერი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „სერვისი-7“ არის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი საწარმო. შპს „სერვისი-7“ (შემდგომში - კომპანია) დაფუძნდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2007 წლის 26 ივნისის N1-1/950 ბრძანების საფუძველზე. კომპანია რეგისტრირებულია საქართველოში, თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2007 წლის 29 ივნისს, საიდენტიფიკაციო კოდით 204532899. კომპანიის ხელმძღვანელია დირექტორი - ელენე იმნაძე. პ/ნ. 26001024826. კომპანიის კაპიტალის 100 პროცენტის წილის ფლობელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა შპს „აქტივების მართვის კომპანია“.

კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, ნატანები, შეკვეთილი.

კომპანიის საქმიანობის სფეროებია:

- გასართობი პარკების და თემატური პარკების საქმიანობები;
- საკუთარი და იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა;
- სხვა ტექნიკის, მოწყობილობების და მატერიალური საშუალებების იჯარა;

ჩამოთვლილ სფეროებში კომპანიის საქმიანობა სეზონური ხასიათისაა და შემოიფარგლება ივნისი-სექტემბრის თვეებით.

ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, კომპანია უფლებამოსილია განახორციელოს სხვა ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

2.1 მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპისა და ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, ქვემოთ არის წარმოდგენილი.

2.2 ახალი ან შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება.

2.2.1. 2024 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, თუმცა მათ ძალაში შესვლას კომპანიაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია:

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად - შესწორებები ბასს 1-ში. ფინანსური პირობების (Covenants) მქონე გრძელვადიანი ვალდებულებების შესწორებები ბასს 1-ში. (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან) ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად - შესწორებები ბასს 1-ში შევიდა 2020 და 2022 წელს. აღნიშნული შესწორებები განმარტავს, რომ ვალდებულებები კლასიფიცირებულია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, რაც დამოკიდებულია ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებულ უფლებებზე. ვალდებულებები არამიმდინარეა იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს აქვს არსებითი უფლება, ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, გადაავადოს ანგარიშსწორება მინიმუმ თორმეტი თვით. ხელმძღვანელობის მოლოდინები ბალანსის შემდეგ თარიღებში (პირობების შესრულების განთავისუფლებასთან და პირობების დარღვევასთან დაკავშირებით) გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე.

ფინანსური პირობები არ ახდენს გავლენას, ვალდებულების ვადიანობის მიხედვით, კლასიფიკაციაზე თუ პირობების შესაბამისობის მოთხოვნა დგება ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ პერიოდში. იმ შემთხვევაში კი, როდესაც პირობებთან შესაბამისობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი ბალანსის თარიღისთვის ან უფრო ადრე, მაშინ შესაბამისობა ახდენს გავლენას მიმდინარე და გრძელვადიანი წარდგენის კლასიფიკაციაზე, იმის მიუხედავად, რომ შესაბამისობის ტესტირება მოხდება მხოლოდ ბალანსის შედგენის შემდეგ.

თუ საწარმო წარადგენს ვალდებულებას გრძელვადიანად და ფინანსური პირობების შესაბამისობა უნდა გაიტესტოს ბალანსის შედგენის შემდეგ, 12 თვის პერიოდში, მაშინ ცვლილება მოითხოვს ახსნა-განმარტების წარდგენას. ახსნა-განმარტება უნდა მოიცავდეს:

- ვალდებულების საბალანსო ღირებულებას;
- ფინანსური პირობების დეტალებს;
- ფინანსური პირობებთან შესაბამისობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სირთულეების ამსახველ ფაქტებსა და გარემოებებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვლილება ასევე სპეციფიკურად განმარტავს ვალდებულების დაფარვის მცნებას, როდესაც მეორე მხარეს ოპციით აქვს უფლება, დაფარვა მოხდეს კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით. ცვლილება უნდა იქნას გამოყენებული რეტროსპექტიულად, ბასს 8 შესაბამისად. სპეციალური დანერგვის მინიშნებები არსებობს, თუ კომპანია ადრე დანერგავს სტანდარტს.

საიჯარო ვალდებულება გაყიდვისა და უკუიჯარის პირობებში - ცვლილება ფასს 16 ში. (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან). 2022 წლის სექტემბერში საბჭომ (IASB) მიიღო ცვლილება ფასს 16 იჯარებში ასახული გაყიდვასა და უკუიჯარის ოპერაციებთან დაკავშირებით. ცვლილება განმარტავს ოპერაციის თაღისათვის ოპერაციის ასახვის დეტალებს. ცვლილება განსაზღვრავს გამყიდველი მოიჯარის მიერ საიჯარო გადახდების განსაზღვრის დეტალებს.

მომწოდებლის ფინანსირების გარიგებები - ცვლილება ბასს 7 და ფასს 7 ში - (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან). საბჭომ (IASB) გამოუშვა ახალი ახსნა-განმარტებათა მოთხოვნებთან დაკავშირებული ცვლილება ბასს 7 და ფასს 7. ცვლილების მიზანია დამატებითი ინფორმაციის წარდგენა ინვესტორებისათვის მომწოდებელთა ფინანსირების (SFA) გარიგებებთან დაკავშირებით. ახალი ახსნა-განმარტებები მოითხოვს ინფორმაციას მომწოდებლების დაფინანსების პირობების შესახებ:

1. იმ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება და მათი წარდგენის დეტალები, რომლებიც დაკავშირებულია ან SFA ნაწილია.
2. ფინანსური ვალდებულების ნაწილი, რომლებზეც ფინანსურების უზრუნველყოფელმა მოახდინა გადახდა.
3. გადასახადელი თანხების ზღვარი და ვადიანობა, რომლებიც დაკავშირებულია SFA - სთან და შესაძარისი სავაჭრო ვალდებულება, რომელიც ამ გარიგების ნაწილი არ არის.
4. შესაბამისი ფინანსური ვალდებულების ცვლილება, რომელიც დაკავშირებულია არაფულად ოპერაციებთან.

SFA წვდომა და ლიკვიდურობის რისკი შესაბამის ფინანსირების უზრუნველყოფებთან.

საბჭო ათავისუფლებს სუბიექტებს შესადარისი ინფორმაციის წარდგენის მოთხოვნისაგან, პირველადი დანერგვისას, განთავისუფლება ეხება საწყის ნაშთებსაც.

ფასს-ების ინტერპრეტაციის კომიტეტმა გამოსცა გარკვეული გადაწყვეტილებები რომლებიც მნიშვნელოვანია 2024 ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის, თუმცა მათ დანერგვას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია:

თარიღებს საბჭოს ვებ გვერდის მიხედვით:

გამოცემის თარიღი	საკითხი
2024 წლის იანვარი	დედა კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიის გაერთიანება ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში (ბასს 27)
2024 წლის აპრილი	დასაქმების გაგრძელებაზე დამოკიდებული გადახდები გადაცემის პერიოდში (ფასს 3)
2024 წლის აპრილი	კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ვალდებულებები (ბასს 37)

2.2.2 ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული და არც წინასწარ არის დანერგილი

კომპანიამ ვადადგე არ მიიღო შესწორებები, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის შემდეგ და თვლის, რომ ისინი უმნიშვნელო გავლენას მოახდენენ, მიღების შემდეგ, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს 21-ის ცვლილებები - გაცვლის შეუძლებლობა (ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან). 2023 წლის აგვისტოში IASB-მა გააუმჯობესა ბასს 21 და დაამატა მოთხოვნები, რომლებიც დაეხმარება სუბიექტებს, განსაზღვრონ, შესაძლებელია თუ არა, ვალუტის სხვა ვალუტაში გაცვლა და რა კურსი უნდა გამოიყენონ გაცვლის შეუძლებლობის შემთხვევაში. ამ ცვლილებამდე ბასს 21 ასახავდა გაცვლითი კურსის გამოყენებას მაშინ, როდესაც გაცვლა დროებით არ იყო შესაძლებელი, მაგრამ არ განიხილავდა იმ შემთხვევას, როდესაც გაცვლის პრობლემა მუდმივი იყო.

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების ცვლილებები – ცვლილებები ფასს 9 და ფასს 7-ში (ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან). 2024 წლის 30 მაისს IASB-მა გამოუშვა ფასს 9-ისა და ფასს 7-ის ფინანსური ინსტრუმენტების მიზნობრივი ცვლილებები, რათა უპასუხოს პრაქტიკაში გაჩენილ ახალ შეკითხვებს და შეიტანოს ახალი მოთხოვნები არა მხოლოდ ფინანსური ინსტიტუტებისთვის, არამედ კორპორაციული საწარმოებისათვის. ამ ცვლილებებში შედის:

- ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებისა და გაუქმების თარიღების დაზუსტება ახალი გამოწვევების, რომელიც შეეხება ელექტრონული სისტემის მეშვეობით გადახდილ ზოგიერთ ფინანსურ ვალდებულებას.
- დამატებითი განმარტება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეფასდეს, შეესაბამება თუ არა ფინანსური აქტივი ძირისა და პროცენტის კრიტერიუმებს.
- ახალი განმარტებითი შენიშვნების დამატება გარკვეული ინსტრუმენტებისათვის, რომლებიც შეიცავს ისეთ პირობებს, რომლებმაც შეიძლება შეცვალოს ფულადი ნაკადი (მაგალითად: ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებსაც აქვთ გარემოს, სოციალური და მართვის მიზნების მიღწევასთან დაკავშირებული მახასიათებლები).
- განმარტებითი შენიშვნების განახლება აქციების ინსტრუმენტებისათვის, რომლებიც აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა ყოვლისმომცველ შემოსავალში.

მეორე პუნქტში მოცემული განახლებები მეტწილად შეესაბამება ფინანსურ ინსტიტუტებს, ხოლო დანარჩენ პუნქტებში მოცემული ცვლილებები ყველა საწარმოსათვის რელევანტურია.

ფასს 9-ისა და ფასს-ის ცვლილებები ეფექტური იქნება წლიური ანგარიშგების პერიოდებისათვის და ძალაში შევა 2026 წლის 1 იანვრიდან ან მოგვიანებით.

ფასს 18, პრეზენტაცია და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში (ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან). ახალი სტანდარტი ანაცვლებს ბასს 1-ს და ორიენტირებულია მოგება-ზარალის უწყისის განახლებებზე.

ფასს 18-ში წარდგენილი ძირითადი საკითხები ეხება:

- მოგება-ზარალის უწყისის სტრუქტურას

- მოგება-ზარალის უწყისში ხარჯების პრეზენტაციისათვის ყველაზე გამოსადეგი სტრუქტურის განსაზღვრას.
- საჭირო განმარტებით შენიშვნებს ფინანსურ ანგარიშგებაში, რომლებიც შეეხება გარკვეული მოგების ან დანაკარგის შესრულების ზომებს, რომლებიც წარმოდგენილია კორპორაციის ფინანსური ანგარიშგების გარეთ (შენეჯმენით განსაზღვრული შესრულების ზომები).
- გაფართოებულ პრინციპებს აგრეგაციისა და დისაგრეგაციის შესახებ, რომლებიც ვრცელდება ძირითად ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს 19-დედა კომპანიები საჯარო ანგარიშგებულების გარეშე (ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან). მოცემული ახალი სტანდარტი მუშაობს ფასს-ის სხვა სტანდარტებთან ერთად. შესაფერისი შვილობილი კომპანია ატარებს ანგარიშგების სტანდარტებში არსებულ ფასს-ის სხვა მოთხოვნებს, განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების გარდა და იყენებს შემცირებულ განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნებს. ფასს 19 წარმოადგენს ნებაყოფლობით სტანდარტს შესაფერისი შვილობილი კომპანიებისათვის.

შვილობილი კომპანია შესაფერისია თუ:

- არ გააჩნია საჯარო ანგარიშგებულება.
- ჰყავს ძირითადი ან შუამავალი დედა კომპანია, რომელიც აწარმოებს ფასს-ის სტანდარტების შესაბამის საჯაროდ ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

2.3 შემოსავლის აღიარება.

გაყიდული მომსახურება აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-ს და ფასდათმობის გარეშე.

2.4 საიჯარო შემოსავლის აღიარება.

გადაცემულ საიჯარო აქტივებთან დაკავშირებით კომპანიას არ აქვს გადაცემული საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, შესაბამისად გაცემული იჯარები განიხილება, როგორც საოპერაციო. კომპანია საოპერაციო იჯარიდან მიღებულ შემოსავალს აღიარებს, წრფივი მეთოდით, საიჯარო გადახდების შესაბამისად.

2.5 არამონეტარული აქტივების გაუფასურება

ის არამონეტარული აქტივები რომელთაც არ აქვს განსაზღვრული ცხოვრების ხანგრძლივობა და ასევე ის აქტივები რომლებიც არიან მზად გამოყენებისათვის არ ერიცხება ცვეთა ან ამორტიზაცია, ისინი ექვემდებარებიან გაუფასურების ყოველიურ ტესტირებას. ეს აქტივები რომლებიც ექვემდებარებიან ცვეთას და ამორტიზაციას ექვემდებარებიან გაუფასურებაზე ტესტირებას, მაშინ როდესაც გარკვეული მოვლენა ან ნებისმიერი პირობის ცვლილება მიუნიშნებს რომ შესაძლებელია მისი საბალანსო ღირებულება ვერ იქნას ამოღებული. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ სხვაობის ოდენობით რაც არსებობს შეფასებულ ამოღებად თანხასა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის. ამოღებადი თანხა წარმოადგენს უდიდეს თანხას გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ აქტივის სამართლიან ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის. გაუფასურების ტესტირების მიზნით აქტივები ჯგუფდება უმცირესი ჯგუფის დონეზე რომლის დონეზეც იდენტიფიცირდება ინდივიდუალური ფულადი ნაკადები. ყოველ საანგარიშო პერიოდზე გაუფასურებული არაფინანსური აქტივები გარდა გულდილისა მიმოიხილება გაუფასურების შეზღუდვების გაუქმების მიზნით.

2.6 წარდგენის ვალუტა.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ იქნება მითითებული.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები, რომელიც განისაზღვრა საქართველოს ბანკთაშორის ოპერაციების შედეგად, აშშ დოლარსა და ევროსთან მიმართებაში იყო შემდეგი:

	დოლარი	ევრო
2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

2.7 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათ სამართავად კომპანიის ბიზნეს მოდელზე. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანია პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო მოთხოვნა, რომელიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს 15-ით („შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“) განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და მოხდეს მისი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესის მოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

2.8 შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;

რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით.

2.9 ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები

ეს კატეგორია კომპანიისთვის ყველაზე აქტუალურია. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ამ ბიზნესმოდელის მიხედვით ფინანსური აქტივი მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო

განაკვეთის მეთოდით და ის გაუფასურებას ექვემდებარება. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, გაცემულ სესხებს, საბანკო ანგარიშებს მოთხოვნად.

2.10 ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- ▶ მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები - მე- 2.29 შენიშვნა;
- ▶ სავაჭრო მოთხოვნები - მე-0 შენიშვნა;

კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე ვადადამდგარ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოების დისკონტირებით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება ორ ეტაპზე. კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოთხოვნილია ზარალის რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია დარჩენილ ვადაზე, გადაუხდელობის ვადის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

სავაჭრო მოთხოვნებისათვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა რეზერვების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო ანაზრები), კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები 180 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგებაში ან ზარალში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

2.11 აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღება) უმეტესად ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლების ვადა, ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულება ვალდებულება; ან (ა)კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ)კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა მან, ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი თავდებობის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

2.12 ფინანსური ვალდებულებები - თავდაპირველი აღიარება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები, მოთხოვნები ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით და სესხების და მოთხოვნების შემთხვევაში აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებას.

2.13 ფინანსური ვალდებულებები - შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე:

სავაჭრო ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება დაანგარიშდება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურის თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით. ეს კატეგორია, ზოგადად, სესხებს ეხება.

2.14 ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთათვლა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთათვლას ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი.

2.15 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად განისაზღვრება თვითღირებულებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებები ასახულია გადაფასებული ღირებულებით. გადაფასებულ ღირებულებას რომელიც შეფასების თარიღისათვის წარმოადგენს სამართლიან ღირებულებას აკლდება გადაფასების თარიღის შემდგომ დარიცხული ცვეთა და გაუფასურება. მიწის შეფასება ხდება რეალური ღირებულებით და მას არ ერიცხება ცვეთა. შეფასება რეგულარულად ტარდება იმის გადასამოწმებლად, რომ გადაფასებული ქონების რეალური ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი საბალანსო ღირებულებისგან. კომპანიის ქონება ბოლოს შეფასდა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. დამატებითი დეტალები წარმოდგენილია მე-3 შენიშვნაში.

გადაფასების ნებისმიერი მეტობა კრედიტდება სხვა სრულ შემოსავლებში ჩართული და ჩართულია გადაფასების რეზერვში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება მანამდე მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარებული ამავე აქტივის გადაფასების შედეგად მისი ოდენობის შემცირების შებრუნება. ამ შემთხვევაში მატების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. გადაფასების დეფიციტის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დეფიციტი, რომელიც უშუალოდ გაქვითავს ამავე აქტივზე უწინ აღიარებულ მეტობას, პირდაპირ გაიქვითება ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის მეტობიდან.

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან წლიური გადატანა გაუნაწილებელ მოგებაზე ხდება აქტივის გადაფასებული საბალანსო ღირებულების ცვეთასა და აქტივის თავდაპირველი ღირებულების ცვეთას შორის სხვაობით. გაყიდვისას კონკრეტულ აქტივთან დაკავშირებული მთლიანი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გადაფასებასთან მიმართებაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში.

2024 წლის 31 დეკემბრის თარიღით ჩატარებული გადაფასების შემდეგ კომპანია იყენებს შემდეგ სასარგებლო მომსახურების ვადებს:

	სასარგებლო მომსახურების ვადების ზღვრები
შენობა	19
ნაგებობები	6-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	6
ოფისის აღჭურვილობა	4
მანქანა-დანადგარები	1-10
	5-11

2.16 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით 3 წლის გაანგარიშებით.

თავდაპირველად განისაზღვრება თვითღირებულებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში.

2.17 მოგების გადასახადი

ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადი აისახა მოქმედი კანონმდებლობის, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის არსებითად მოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯები შეიცავს მიმდინარე გადასახადსა და გადავადებულ გადასახადს, რომლის აღიარება ხდება მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში, რადგან იგი უკავშირდება ისეთ გარიგებებს, რომლებიც ასევე აღიარდება იმავე, ან განსხვავებულ პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი, ან დასაბრუნებელი მოგებიდან გადასახადის, ან საგადასახადო ზარალის თანხა. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აისახება საოპერაციო დანახარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი იქმნება ბალანსის მომზადების ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალის და აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის წარმოქმნილი დროებითი სხვაობის მიმართ ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. თავდაპირველი აღიარებისაგან გათავისუფლების მიხედვით გადავადებული გადასახადები არ აისახება გარიგების დროს აქტივის ან ვალდებულების პირველადი აღიარების დროს დროებითი სხვაობის შემთხვევაში გარდა იმ გარიგებისა, როდესაც ადგილი აქვს საწარმოთა გაერთიანებას და როდესაც ეს გარიგება, მისი თავდაპირველი ასახვის დროს, გავლენას არ ახდენს არც სააღრიცხვო და არც საგადასახადო მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასება ხდება მოქმედი, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს არსებითად მოქმედი საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომელთა გამოყენებაც მოითხოვება იმ პერიოდის მიმართ, როდესაც დროებითი სხვაობა ამოიწურება, ან გამოყენებულ იქნება მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალი. გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოსაქვითი დროებითი სხვაობისა და მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალისათვის აისახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია, რომ მომავალში საგადასახადო მოგება საკმარისი იქნება გამოქვითვების განსახორციელებლად.

კომპანიის გაურკვეველი საგადასახადო სტატუსის ხელახალი შეფასება ხდება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ყოველი საანგარიშგებო თარიღის დასასრულს. ვალდებულებები აისახება საგადასახადო მუხლებში, რომელთაც განსაზღვრავს კომპანია იმის მიხედვით, თუ სავარაუდოდ რომელ მათგანზე იქნება საჭირო დამატებითი გადასახადების გადახდა, თუ ამ მუხლებს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებენ საგადასახადო ორგანოები. კომპანიის შეფასება ეფუძნება მოქმედი, ან საანგარიშგებო თარიღის დასრულებისათვის არსებითად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას და სასამართლოს, ან სხვა ნებისმიერ ცნობილ გადაწყვეტილებას ამ საკითხებთან დაკავშირებით. ჯარიმების, საპროცენტო გადასახდელებისა და მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადების ვალდებულებების აღიარება ეფუძნება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დანახარჯების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულებების დასაფარად საანგარიშგებო თარიღის ბოლოსათვის.

2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა შეცვალა ქვეყნის საგადასახადო კოდექსი: ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ქართული გადასახადის გადამხდელების უმრავლესობა, მათ შორის კომპანია, არ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე. მხოლოდ დივიდენდების განაწილება და სპეციფიკური ტრანზაქციები ექვემდებარება დასაბეგრ ბაზაში მოხვედრას. შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივებს და ვალდებულებებს 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიამ ანუღირება გაუკეთა მისი ყველა გადავადებული მოგების გადასახადის აქტივს და ვალდებულებას.

2.18 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

2.19 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

2.20 გადახდილი ავანსები.

გადახდილი ავანსები აისახება ღირებულებით, მინუს გაუფასურების ანარიცხი. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილ ავანსთან დაკავშირებული პროდუქციის, ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარების დროს გრძელვადიან აქტივად არის კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება მოცემული აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მოცემულ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსების ჩამოწერა ხდება მოგებაში, ან ზარალი, როდესაც კომპანია მიიღებს გადახდილ ავანსთან დაკავშირებულ პროდუქციას, ან მომსახურებას. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, პროდუქცია, ან მომსახურება არ იქნება მოწოდებული, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში.

2.21 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები.

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

2.22 განთავსებული კაპიტალი.

სამეწარმეო საზოგადოების განთავსებული კაპიტალი არის სამეწარმეო საზოგადოების მიერ განსაზღვრული ფულადი ოდენობა, მიუხედავად იმისა, საზოგადოებას მიღებული აქვს თუ არა საზღაური. განთავსებული კაპიტალი შეესაბამება სრული ოდენობით .

2.23 ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები.

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

2.24 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაქტის ხელმოწერი მეორე მხარე შეასრულებს თავის საკონტრაქტო ვალდებულებებს. მათი ასახვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

2.25 უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება.

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. კომპანიის სამუშაო ვალუტა, ასევე კომპანიის წარდგენის ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა (ქართული ლარი).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო

პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ხარჯი. უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებული არაფულადი მუხლები, მათ შორის წილობრივი ინსტრუმენტი, გადაიანგარიშება იმ გაცვლითი კურსების მიხედვით, რომელიც არსებობდა მათი რეალური ღირებულებით შეფასების დროს. უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე გაცვლითი კურსის ცვლილებების ზეგავლენა აისახება, როგორც რეალური ღირებულების შედეგად მიღებული შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

2.26 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები.

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განხორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განხორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

2.27 ურთიერთგადაფარვა.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

2.28 ფინანსურ ანგარიშგებაში შესწორების შეტანა მისი წარდგენის შემდეგ.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შემდეგ მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანა, საჭიროებს კომპანიის იმ ხელმძღვანელობის მიერ ამ ცვლილებების დამტკიცებას, რომელთაც აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დაამტკიცეს.

2.29 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

2.30.1. კაპიტალში შემოტანილი ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების ოპერაციებთან დაკავშირებული კაპიტალის დეფიციტის მუხლი

2023 წელს და გასული პერიოდის განმავლობაში დამფუძნებელი ახდენდა კომპანიის კაპიტალში სასაქონლო მატერიალური მარაგების, ძირითადი საშუალებების. ფასს-ების შესაბამისად ასეთი ოპერაციები უნდა იქნას ასახული ფასს - 13 სამართლიანი ღირებულების შესაბამისად გამოთვლილი აქტივის სამართლიანი ღირებულებით. 2022 წლის 1 იანვრამდე აქტივის შენატანის საფუძველზე კაპიტალის ზრდა ხორციელდებოდა აქტივის გარკვეული ნომინალური ღირებულებით. ამ აქტივების თავდაპირველი და შესაბამისად ოპერაციის ღირებულების შეფასება არ შეესაბამებოდა ფასს -13 შესაბამისად განსაზღვრულ სამართლიან ღირებულებას. 2022 წლის 1 იანვრის შემდეგ ასეთი სახის ოპერაციები შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით და სამართლიან ღირებულებასა და გამოცხადებული კაპიტალის ცვლილების თანხას შორის სხვაობა ასახულია განცალკევებული კაპიტალის მუხლის სხვა დეფიციტის სახით. ასეთი აქტივების კაპიტალიდან გატანის შემთხვევაში მცირდება, როგორც განთავსებული კაპიტალი ასევე იცვლება სხვა დეფიციტის შესაბამისი ნაწილი.

2.30.2. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს

მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

2.30.3. ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულებით შეფასება

კომპანია მიწისა და შენობებისთვის იყენებს გადაფასების მოდელს. კომპანიამ დაიქირავა დამოუკიდებელი შემფასებელი რეალური ღირებულების შეფასებისთვის. რეალური ღირებულების შეფასება დაკავშირებულია მნიშვნელოვან დაშვებებთან.

2.30.4. საწარმოს უწყვეტობის პრინციპი - ნაწილზე, რომელიც ასახავს რომ: „კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრისათვის აკუმულირებულმა და პერიოდის ზარალმა შეადგინა 66,635 და 123. კომპანიის საოპერაციო ფულადი ნაკადები 2023 წელს ურყოფითი იყო. კომპანიის მომავალი ფუნქციონირება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია დამფუძნებლის მხრიდან დაფინანსებაზე. კომპანიის მენეჯმენტი თვლის რომ, კომპანია ქვეყნის ტურისტული და რეგიონალური განვითარების უმნიშვნელოვანესი რგოლია. ამასთანავე, მენეჯმენტისათვის არ არის ცნობილი დამფუძნებლის მხრიდან რამე სახის კომპანიასთან დაკავშირებულ რეორგანიზაციის გეგმებზე. ამ დაშვებათა გათვალისწინებით, კომპანია თვლის, რომ სახელმწიფო და კომპანიის დამფუძნებელი მომავალში გააგრძელებს კომპანიის დაფინანსებას და მხარდაჭერას, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მომავალი შეუფერხებელი და მდგრადი ფუნქციონირება. ამ პირობების გათვალისწინებით, მენეჯმენტი თვლის, რომ „ფუნქციონირების უწყვეტობის“ დაშვება მართებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.“

3. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთე ბი	ნაგებო ბები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ოფისის აღჭურვი ლობა	მანქანა- დანადგარ ები	ტრანსპ ორტი	სულ
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 1 იანვარს (გადაფასებული ღირებულება)	687	168	54	36	2,388	101	3,434
შემენა	-	-	-	7	38	78	123
კაპიტალში შემოტანალი	1,148	-	-	-	-	-	1,148
დარიცხული ცვეთა	-	(20)	(9)	(10)	(241)	(11)	(291)
გადაფასების გამო ცვეთის განულება	-	20	9	10	241	11	291
გადაფასების ეფექტი	-	(11)	(9)	(13)	62	(65)	(36)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს (გადაფასებული ღირებულება)	1,835	157	45	30	2,488	114	4,669
შემენა	-	-	-	19	68	-	87
რეალიზაცია აქტივების (შეფასებული ღირებულების)	-	(1)	(15)	(7)	(64)	(49)	(136)
დარიცხული ცვეთა	-	(23)	(9)	(13)	(290)	(17)	(352)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	3	2	11	5	21
სპეციალიზირებული აქტივის ჩამოფასება	-	-	-	-	(4)	-	(4)
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	1,835	133	24	31	2,209	53	4,285
საბალანსო ღირებულება	1,835	156	29	42	2,492	66	4,620
აკუმულირებული ცვეთა	-	(23)	(6)	(10)	(280)	(12)	(331)
აკუმულირებული გაუფასურება	-	-	-	-	(4)	-	(4)

უკანასკნელი გადაფასება განხორციელებულია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პროფესიონალური შემფასებლის მიერ. ჯგუფების მიხედვით შეფასებისას გამოყენებული ფასს 13 შესაბამისად ამოსავალი მონაცემების დეტალები მოცემულია ქვევით:

- მიწა და ნაგებობების, ტრანსპორტი, ავეჯი და სხვა ინვენტარი, ოფისისაღჭურვილობა, მანქანა დანადგარები და ტრანსპორტი ჯგუფებში შემავალი აქტივების ნაწილი - მე-2 დონის ამოსავალი მონაცემები (აქტიური ბაზრის კორექტირებული დაკვირვებადი ფასები); დაკვირვებადი საბაზრო ფასები დაკორექტირებული აქტივების სპეციფიკური თვისების გათვალისწინებით ფართი, წლოვანება, ადგილმდებარეობა და ა.შ..
- მიწა და ნაგებობების, ტრანსპორტი, ავეჯი და სხვა ინვენტარი, ოფისისაღჭურვილობა, მანქანა დანადგარები და ტრანსპორტი ჯგუფებში შემავალი აქტივების ნაწილი - მე-3 დონის ამოსავალი მონაცემები. არაემპირიული მონაცემები, რომლებიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე. ამ სახის აქტივების (გარდა მიწისა) ჩათვლილი იყო სპეციალიზირებულ აქტივებად და მათი შეფასების მიზნებისათვის გამოყენებული იყო ეგრეთ წოდებული „ამორტიზირებული ჩანაცვლების თვითღირებულების მეთოდი“, შეფასების პროცესი მოიცავდა ამ აქტივების ეკონომიური ცვეთის (გაუფასურების ტესტირებას) გაანგარიშებას. ეკონომიური ცვეთის გაანგარიშების შედეგად აღმოჩნდა, რომ კომპანიის შემოსავლები, ყველა ფულის მაგენერირებელი ერთეულების მიხედვით, ვერ უზრუნველყოფდა სპეციალიზირებული აქტივების ეკონომიურ ცვეთამდე შეფასებული ღირებულების ამოღებადობას, შედეგად, ყველა ასეთი აქტივი საბოლოოდ შეფასდა მათი სალიკვიდაციო ღირებულების საფუძველზე. მიწის შემთხვევაში გამოყენებულია სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმატიული ფასები.
- პერიოდებს შორის შეფასების ტექნიკაში მომხდარი ცვლილება ასახულია ქვემოთ მოცემულ ცხრილებში. რეალური ღირებულების გაზომვა ხდება ზემოთ მოცემული აქტივების ყველაზე მაღალი და საუკეთესო გამოყენების საფუძველზე, რაც არ განსხვავდება მათი რეალური გამოყენებისგან.

ქვემოთ ცხრილებში უკანასკნელი გადაფასების შედეგები:

	სამართლიანი ღირებულების შეფასება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის		
	(1 დონის ამოსავალი მონაცემები)	(2 დონის ამოსავალი მონაცემები)	(3 დონის ამოსავალი მონაცემები)
მიწის ნაკვეთები	-	-	1,835
ნაგებობები	-	91	42
ავეჯი და სხვა ინვენტარი	-	23	0
ოფისის აღჭურვილობა	-	32	0
მანქანა-დანადგარები	-	1,955	252
ტრანსპორტი	-	55	0
სულ	-	2,156	2,129

	სამართლიანი ღირებულების შეფასება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის		
	(1 დონის ამოსავალი მონაცემები)	(2 დონის ამოსავალი მონაცემები)	(3 დონის ამოსავალი მონაცემები)
მიწის ნაკვეთები	-	-	1,835
ნაგებობები	-	114	42
ავეჯი და სხვა ინვენტარი	-	45	-
ოფისის აღჭურვილობა	-	30	-
მანქანა-დანადგარები	-	2,217	265
ტრანსპორტი	-	114	-
სულ	-	2,520	2,142

გადაფასებული ქონება რომ ასახულიყო ისტორიული ღირებულების საფუძველზე, მათი წმინდა საბალანსო ღირებულება იქნებოდა ქვემოთ მოცემული ცხრილში ასახული თანხების ოდენობით:

	მიწის ნაკვეთე ბი	შენობები	ნაგებობე ბი	ნარგავე ბი	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ოფისის აღჭურვი ლობა	მანქანა- დანადგა რები	ტრან სპორ ტი	სულ
31.12.2022	209	1,694	10,417	15	7	39	1,577	63	14,021
31.12.2023	3,208	1,659	9,262	13	5	33	1,293	125	15,598
31.12.2024	3,208	1,659	8,080	11	3	38	987	99	14,085

მე-3 დონის ამოსავალი ინფორმაციის საფუძველზე შეფასებული აქტივები წარმოადგენს სპეციალიზირებულ აქტივებს, რომლებიც მნიშვნელოვნად გაუფასურდა გაუფასურების ტესტირების საფუძველზე. ამ მიზეზის გამო კომპანიამ 2024 წლის ბოლოსათვისაც მოახდინა თავის არამონეტარული აქტივების გაუფასურება ბასს - 36 შესაბამისად. გაუფასურების ტესტირება ნაწარმოებია მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირების გამოყენებით კომპანია ჩათვლილი იყო როგორც ერთ ფულის მაგენერირებელი ერთეული. ფულადი ნაკადების დისკონტირებისას გამოყენებული დისკონტირებისას მე-3 დონის (არადაკვირვებადი) ამოსავალი ინფორმაციის დეტალები და მათი ცვლილების ეფექტის შეფასებულ სამართლიან ღირებულებაზე, რომელიც გამოყენებული აქვს

შპს „სერვის 7“-ის ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შემფასებელს მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

ძირითადი მე-3 დონის ამოსავალი ინფორმაცია	31.12.2024	31.12.2023
დისკონტირების განაკვეთი (რაც უფრო მაღალია მით უფრო იკლებს შეფასებული ღირებულება)	17.04 %	16.87%
ტერმინალური ღირებულების გაანგარიშებისას გამოყებული ზრდის კოეფიციენტი (რაც უფრო მაღალია მით უფრო იკლებს შეფასებული ღირებულება)	2.50 %	2.50%
შემოსავლების ზრდის კოეფიციენტი ნორმალიზებამდე გასაშუალოებული (რაც უფრო მაღალია მით უფრო იზრდება შეფასებული ღირებულება)	10 %-3 %	4.00%

საბაზისო მოდელით კომპანიის ერთადერთი ფულის მაგენერირებელი ერთეულის ღირებულებამ შეადგინა უარყოფითი 85 ათასი ლარი. ზემოთ მოცემული სათითაო კოეფიციენტების 1 პროცენტით ზრდა სხვა ინფორმაციის უცვლელობის შემთხვევაში გამოიწვევს ღირებულების შემდეგ ცვლილებას:

ძირითადი მე-3 დონის ამოსავალი ინფორმაცია	31.12.2024
დისკონტირების განაკვეთი	(178)
ტერმინალური ღირებულების გაანგარიშებისას გამოყებული ზრდის კოეფიციენტი	(2)
დატვირთვის კოეფიციენტი	(1,152)

ზემოთ მოცემული სათითაო კოეფიციენტების 1 პროცენტით შემცირება სხვა ინფორმაციის უცვლელობის შემთხვევაში გამოიწვევს ღირებულების შემდეგ ცვლილებას:

ძირითადი მე-3 დონის ამოსავალი ინფორმაცია	31.12.2024
დისკონტირების განაკვეთი	25
ტერმინალური ღირებულების გაანგარიშებისას გამოყებული ზრდის კოეფიციენტი	(157)
დატვირთვის კოეფიციენტი	1,016

4. სავაჭრო დებიტორული დავალიანება (ნეტო)

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო და საიჯარო მოთხოვნები	38	36
საექვო ვალების რეზერვი	(43)	(32)
სხვა მოთხოვნები	11	11
სულ სავაჭრო დებიტორული დავალიანება (ნეტო)	6	15

საექვო ვალების რეზერვის მოძრაობა

	31.12.2024	31.12.2023
1 იანვრის მდგომარეობით	32	32
ზრდა/გადაანგარიშება მიმდინარე პერიოდისთვის	11	-
31 დეკემბრის მიხედვით	43	32

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	1,903	3
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	2	-
ანაბრებზე განთავსებული ფულადი სახსრები	504	439
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,409	442

6. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	18	18
მიღებული ავანსები	9	-
გადასახდელი გადასახადები	-	-
გადასახდელი ხელფასები	84	87
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	111	105

7. რემონტის ხარჯი

	2024 წლისათვის	2023 წლისათვის
დახმარე მასალების დანახარჯი რემონტის დროს	(408)	(453)
სარემონტო სამუშაოების მომსახურების ხარჯი	(200)	(247)
სულ	(608)	(700)

8. სხვა ზარალი

	2024 წლისათვის	2023 წლისათვის
ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ზარალი	95	-
საექვო ვალების ხარჯი	11	-
სხვა	-	5
სულ	106	5

9. გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარ შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღება კომპანიას სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. კომპანიის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შევითხვები გაუჩნდეთ შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. ასევე შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შევითხვები, ახლა გაჩნდეს შევითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები.

10. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ

ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად.

საკრედიტო რისკი. კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ კონტრაგენტებზე ფინანსური მომსახურების მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო დებიტორული დავალიანება (ნეტო)	6	15
მოკლევადიანი საბანკო ანაზრები - ანაზრის დასრულებამდე	-	1,150
გამოთხოვნის უფლების გარეშე		
საბანკო ნაშთები და დეპოზიტები	2,409	442
სულ მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი	2,415	1,607

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოქვითვის ზეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, უმნიშვნელოა.

კომპანია მის მიერ აღებული საკრედიტო რისკების სტრუქტურირებას ახდენს კონტრაგენტების ან კონტრაგენტების ჯგუფების მიმართ აღებული რისკის მოცულობაზე შეზღუდვების დადგენით. საკრედიტო რისკის შეზღუდვებს რეგულარულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. ამგვარი რისკების მონიტორინგი განმეორებით ხდება და ექვემდებარება წლიურ ან უფრო მეტი სიხშირით გადასინჯვას.

ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის დეტალები ფინანსური აქტივების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე - საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხების საკრედიტო რისკები იმართება მათი ისეთ საბანკო დაწესებულებაში განთავსებით რომლებიც ზოგადად კარგად ცნობილია საქართველოში. ბანკების სტატუსი მონიტორინგი უტარდება რეგულარულად. კომპანიას შეფასებით საბანკო ანგარიშებთან დაკავშირებული საკრედიტო ზარალი ნოლის ტოლია ყველა საანგარიშგებო თარიღისათვის და არც ერთი მათგანი არ არის ვადაგადაცილებული.

დებიტორული დავალიანება - გამოყენებულია ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები სტანდარტით განსაზღვრული გამარტივებული მიდგომა მოსაღდნოლი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების მიზნით, რომლის მიხედვით სავაჭრო დებიტორებისათვის საკრედიტო ზარალის გაანგარიშდება ინსტრუმენტის არსებობის მთელ პერიოდზე. მცირე რაოდენობის დებიტორების გამო მოსალოდნელი ზარალი შეფასებული ინდივიდუალურად თითოეული კონტრაგენტისათვის და ეყრდნობა საკრედიტო ზარალის, გაყიდვებისა და გადახდების 36 თვიან ისტორიულ მონაცემებს. დებიტორების გვარობიდან გამომდინარე ისტორიული ზარალების მონაცემები არ არის ჩასწორებული მიმდინარე და საპროგნოზო და მაკროეკონომიკული ტენდენციებით რომლებიც შესაძლოა გავლენას ახდენდეს ზოგადად დებიტორების ამოღებადობაზე. სავაჭრო დებიტორული დავალიანების და მათთან დაკავშირებული რეზერვების უმნიშვნელო თანხების გამო დაძველების შესახებ ინფორმაცია არ არის წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებაში.

საბაზრო რისკი. კომპანია იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) პროცენტთან აქტივებსა და ვალდებულებებში და (დ) ლიკვიდურობის რისკი პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ამ რისკისადმი დაქვემდებარების შეზღუდვებს ვალუტის მიხედვით და მთლიანად. ამ მხრივ მდგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად, თუმცა ამ ტიპის რისკი კომპანიაში მინიმალურია.

2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებული იყო ლარში, ხოლო 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ევროში ნომინირებული იყო ფული და ფულის ექვივალენტები 105 ლარის ოდენობით, სხვა აქტივები და ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში ნომინირებული არ ყოფილა.

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა. საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იმერყევეს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო. კომპანიის 2023 და 2022 წლის ბოლოს არ გააჩნია სესხები. კომპანიის გააჩნია ფიქსირებულ პროცენტიანი დეპოზიტები. ამრიგად, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიას არ აქვს ბაზარზე საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შედეგად ფულადი ნაკადების მნიშვნელოვანი რისკი. ფიქსირებული განაკვეთებიანი დეპოზიტების პირობებში, კომპანია ექვემდებარება საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობით გამოწვეულ სამართლიანი ღირებულების რისკს. კომპანიას არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთების რისკების სამართავად, თუმცა, ახალი სესხების გაცემის, დეპოზიტების განთავსების, ან სესხით სარგებლობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსჯის ფიქსირებული განაკვეთი ჯობია კომპანიისათვის გადახდის მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით თუ ცვლადი განაკვეთი.

ლიკვიდურობის რისკის მართვა. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანია ვერ ასრულებს გადახდის ვალდებულებას, მაშინ როდესაც მას უწევს გადახდა განრიგის მიხედვით. ამ რისკის კონტროლისათვის, მენეჯმენტი ადგენს მომავალი ფულადი ნაკადების გეგმას. კომპანია იყენებს საოპერაციო ნაკადებს რათა მოახდინოს ლიკვიდურობის რისკის მინიმიზაცია.

ლიკვიდურობის რისკი - კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება წარმოადგენს მოთხოვნამდე და 1 წლამდე ვალდებულებებს.

კომპანიის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. კომპანია ისწრაფვის შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომლის უზრუნველყოფას კომპანია უმთავრესად გეგმავს საოპერაციო ფულადი ნაკადებით და სახელმწიფოსგან მიღებული სხვა და სხვა სახის დაფინანსებით.

11. კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს კომპანიის, ფუნქციონირება, რათა მეწილეებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა ცვლილება შეიტანოს საწესდებ კაპიტალი, მოითხოვოს და მიიღოს მიზნობრივი დაფინანსება და გრანტები. კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში. კომპანია არ ექვემდებარება გარეშე სუბიექტის მოთხოვნებს კაპიტალზე.

12. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა (საბანკო ანგარიშები, მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებების (მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანება) საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური, მოთხოვნამდე ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამთვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები. სავარაუდო სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია (მესამე დონის ამოსავალი მონაცემები ფასს 13 - რეალური ღირებულების შეფასება). ფინანსური დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

13. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა: ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები); სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით; რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის

შპს „სერვის 7“-ის ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე; რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით. კომპანიის ყველა ფინანსურ აქტივი გაერთიანებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებში.
 ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ამ ფინანსური აქტივის ჩაშლა საბალანსო მუხლების მიხედვით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებში	
აქტივები	
- სავაჭრო დებიტორული დავალიანება	6
- საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	2,409
სულ ფინანსური აქტივები	2,415

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ამ ფინანსური აქტივის ჩაშლა საბალანსო მუხლების მიხედვით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებში	
აქტივები	
- სავაჭრო დებიტორული დავალიანება	15
- მოკლევადიანი საბანკო ანაზრები - ანზრის დასრულებამდე	1,150
გამოთხოვნის უფლების გარეშე	
- საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	442
სულ ფინანსური აქტივები	1,607

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება ასახულია ამორტიზებული ღირებულებით.

14. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორცაა არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორცაა დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

კომპანიის მფლობელია საქართველოს სახელმწიფო. სხვა სახელმწიფო კომპანიები და სამთავრობო დაწესებულებები კომპანიისთვის დაკავშირებული მხარეები არიან. კომპანია იყენებს ბასს 24-ის 25-ე პარაგრაფით განსაზღვრულ შეღავათს და არ წარადგენს დაკავშირებულ მხარეებთან სახელმწიფო კომპანიებთან და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან ტრანზაქციებს და ბალანსებს.

დაკავშირებული მხარეები	2024	2022
დირექტორი (დარიცხული ხელფასი)	63	58

დაკავშირებული მხარეები	31.12.2024	31.12.2023
დირექტორი (გადასახდელი ხელფასი)	-	12

2024 და 2023 წლის განმავლობაში დამფუძნებელთან მომხდარი მნიშვნელოვანი ოპერაციები ასახულია საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

15. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2025 წლის განმავლობაში ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე:

- **დირექტორის, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების პირის ცვლილება** - 2025 წელს კომპანიაში შეიცვალა დირექტორი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების პირის პოზიცია დაიკავა ბატონმა ვახტანგ ტუკვაძემ (ს/კ 33001004498).
- **განთავსებული კაპიტალის ცვლილება** - განთავსებული კაპიტალი რეპორტის თარიღისთვის შეადგენს 72,910 ათას ლარს.
- **მესაკუთრის ცვლილება**- კომპანიის 100% იანი წილის მფლობელი შეიცვალა 25 მაისს და გახდა შპს „სთარინგ ჯორჯია“

ბალანსის შედგენის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება. ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 25 ივლისს. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს „სერვის 7“-ს

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
მმართველობითი ანგარიშგება/საქმიანობის მიმოხილვა

მმართველობითი ანგარიში

1. კომპანიის სადამფუძნებლო ინფორმაცია (მოკლე მიმოხილვა)

დასახელება - შპს „სერვისი-7“

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;

საიდენტიფიკაციო ნომერი 204532899;

დაფუძნების თარიღი 29 ივნისი 2007 წელი;

დამფუძნებელი - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო;

დამფუძნებლის ბრძანების N1-1/950 და თარიღი 26.06.07;

მარეგისტრირებული ორგანო - თბილისის საგადასახადო ინსპექცია.

საწესდებო კაპიტალის ოდენობა დაფუძნებისას 40691130 ლარი

დამფუძნებლის წილი საწესდებო კაპიტალში 100%.

2010 წლის 20 აგვისტოს სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ თავმჯდომარის N1-3/784 ბრძანების საფუძველზე შპს „სერვისი-7“-ის კაპიტალში განხორციელდა დამატებითი შენატანი „ასოციაცია ატუ“-ს მიერ ეკონომიკური განვითარების სამინისტროზე უსასყიდლოდ გადაცემული ქონებით და კაპიტალი ცვლილებების შედეგად გახდა 60.487.022 ლარი.

2011 წლის 11 მაისს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „მენეჯმენტ სერვისი“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით შპს „სერვისი-7“-ის სახელწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი მართვის უფლებით პირდაპირი გადაცემის ფორმით გადაეცა შპს „მენეჯმენტ სერვისი“.

შპს „სერვისი-7“-ის წილის 100%-ის მმართველი კომპანია შპს „მენეჯმენტ სერვისი“ 2016 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს „სერვისი-7“-ის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა არაფულადი შენატანის გზით 6.532.432 ლარით.

შპს „სერვისი-7“-ის წილის 100%-ის მმართველი კომპანია შპს „მენეჯმენტ სერვისი“ 2021 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს „სერვისი-7“-ის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა არაფულადი შენატანის გზით 2.857.178 ლარით და კაპიტალი ცვლილებების შედეგად გახდა 69.876.633 ლარი.

შპს „სერვისი-7“-ის წილის 100%-ის მმართველი კომპანია შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიის“ 2024 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებით შპს „სერვისი-7“-ის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა არაფულადი შენატანის გზით 33838.53 ლარით და კაპიტალი ცვლილებების შედეგად გახდა 72 910 075,53 ლარი.

შპს „სერვისი-7“-ის წილის 100%-ის მმართველი კომპანია შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიის“ 2024 წლის 09 სექტემბრის გადაწყვეტილებით შპს „სერვისი-7“-ის საწესდებო კაპიტალი შემცირდა არაფულადი (ატრაქციონი) გატანის გზით 269 000 ლარით და კაპიტალი ცვლილებების შედეგად გახდა 72 641 075,53 ლარი.

სანგარიშგებო წლის ბოლოს კომპანიის დირექტორი იყო ელენე იმნაძე.

2. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის საქმიანობის ძირითადი სფეროებია:

1. გასართობი პარკების და თემატური პარკების საქმიანობები;
2. საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა;

გასართობი პარკების და თემატური პარკების საქმიანობები ხორციელდება ატრაქციონების პარკი „ციცინათელას“ და პარკის „საქართველო მინიატურებში“ ლოკაციაზე განთავსებული აქტივებით.

საწარმოს მიერ გაწეული მომსახურების ძირითადი მომხმარებელია საზაფხულო საკურორტო სეზონისათვის რეგიონში ჩამოსული ტურისტები და დამსვენებლები. დღეისათვის ჩვენს მიერ დაკავებულია ბაზრის 93%.

შპს „სერვის 7“-ის მმართველობითი ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საწარმოს ძირითადი კონკურენტები არ გააჩნია, მათი წილი დაკავებულ ბაზრის სეგმენტში უმნიშვნელოა და შეადგენს 7%.

სახელმწიფოს მიერ დაწესებული უსაფრთხოების სავალდებულო მოთხოვნების უზრუნველსაყოფად ატრაქციონს პერიოდულად უტარდება ტექნიკური შემოწმება არანაკლებ 12 თვეში ერთხელ.

ჩვენი წარმატების ძირითადი ფაქტორებია: ფასები, მომსახურების ხარისხი, მიწოდების ვადები, სერვისი და ა.შ. ძირითადი ხელისშემშლელი მიზეზებია მეტეოროლოგიური პირობები.

კომპანიაში 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებულია 68 და 68 ადამიანი.

3. აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	4,285	4,662
არამატერიალური აქტივები		3	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,288	4,662
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები		1,295	1,109
სავაჭრო დებიტორული დავალიანება (ნეტო)	4	6	15
გადახდილი ავანსები		76	11
მოკლევადიანი საბანკო ანაზღაურებები - ანბრის დასრულებამდე		-	1,150
გამოთხოვნის უფლების გარეშე			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	5	2,409	442
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,786	2,727
სულ აქტივები		8,074	7,389

ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი			
განთავსებული კაპიტალი	2.23	72,641	72,877
არამონეტარული აქტივების კაპიტალში შემოტანით	2.30.1	(1,593)	(1,852)
გამოწვეული დეფიციტი			
აკუმულირებული ზარალი		(65,906)	(66,691)
გადაფასების რეზერვი		2,821	2,950
სულ საკუთარი კაპიტალი		7,963	7,284
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	6	111	105
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		111	105
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		8,074	7,389

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2024 დასრულებული წლისთვის	31.12.2023 დასრულებული წლისთვის
საოპერაციო შემოსავლები:			
ამონაგები (მომსახურების გაწევა)		3,964	2,759
იჯარიდან მიღებული შემოსავალი		96	78
ხარჯები:			
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(2,056)	(1,541)
რემონტის ხარჯები	7	(608)	(700)
ცვეთა და ამორტიზაცია		(352)	(308)
საგადასახადო ხარჯები		(96)	(152)
კომუნალური და დაცვის ხარჯები		(140)	(143)
რეალიზებული პლასტიკური ბარათები		(57)	(37)
საკონსულტაციო ხარჯები		(3)	(27)
ოფისის ხარჯები		(11)	(10)
სხვა საერთო ხარჯები		(106)	(102)
ძირითადი საშუალებების ჩამოფასების შედეგი (ნეტო)		(3)	(97)
სხვა ზარალი	8	(106)	(5)
საპროცენტო შემოსავალი		134	99
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)		656	(186)
სხვა სრული შემოსავლი			
ფინანსური ელემენტები რომლებიც არ შეიძლება რომ შემდგომში რეკლასიფიცირებული იყოს მოგება/ზარალში			
ძირითადი საშუალებების აფასება		-	351
სულ სხვა სრული შემოსავლი		-	351
წლის სრული მოგება		656	165

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი: ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
 - საპროცენტო რისკი
 - სავალუტო რისკი

4. საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი

კომპანია საკრედიტო რისკის დაბალი მაჩვენებლის მატარებელია (მოვლენის დადგომის ფაქტი - 13 წლის განმავლობაში ერთი მომხმარებელი). საკრედიტო რისკი კომპანიას წარმოუშვება მხოლოდ უძრავი ქონების გაქირავებიდან. კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ხორციელდება თითოეული მომხმარებლის გადახდისუნარიანობის ანალიზი, რომელიც მოიცავს ინფორმაციის შემოწმებას გარე რესურსებიდან მათი ხელმისაწვდომობის შემთხვევაში.

ლიკვიდურობის მართვისას კომპანიის მიდგომა არის, რამდენად შესაძლებელია გადამოწმება იმისა რომ ვალდებულებების გაჩენისას ყოველთვის ჰქონდეს დავალიანების შესაბამისი ლიკვიდურობა. ფულადი

სახსრები მთლიანად განთავსებულია ბანკში მიმდინარე და ვადიანი ანაზრის ანგარიშებზე, რომელიც ამყარებს კომპანიის ლიკვიდურობას.

5. სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკუროს სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო. კომპანია ატრაქციონების შეკეთებისათვის საჭირო სათანადო ნაწილების შესყიდვას ძირითადად ახორციელებს უცხოურ ვალუტაში. კომპანია სენსიტიური იყო სავალუტო კურსის ცვლილებების მიმართ. კურსის ცვლილება არსებით გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგზე..

6. საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

7. საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით). კომპანიას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა, განსაზღვროს კომპანიის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით.

8. ადმინისტრაციული მართვა

ადმინისტრაციული მართვის ზოგადი ქმედებები კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის წარმართვას და ადმინისტრირებას გულისხმობს. ამ მიმართულებით კომპანიაში წარმატებით მიმდინარეობს შიდაკონტროლის სისტემების დანერგვა, რაც არის საქმიანობის ეფექტურობისა და სანდოობის მაღალი დონის გარანტია.

კომპანიის თანამშრომლებისათვის დაგეგმილია სხვადასხვა სახის სწავლებების ჩატარება მათი საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით.

საწარმოს უშუალო ხელმძღვანელია დირექტორი, შემდეგ დონეზე დაქვემდებარებაშია ბუღალტერია, დაცვის უფროსი, მთ. ინჟინერი, იურიდიული განყოფილება, კადრების განყოფილება, უსაფრთხოებისა და კონტროლის განყოფილებები. ხოლო ქვედა დონეზე მათ ექვემდებარებიან უშუალოდ სპეციალისტები და რიგითი თანამშრომლები.

9. სამომავლო გეგმები და ხედვები

2025 წლისათვის კომპანია გეგმავს სრულიად ჩაანაცვლოს არსებული ატრაქციონები ახლით და ასევე მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით იგეგმება გადახდის სადებეტო სისტემის განახლება.

10. მმართველობითი ანგარიშგების დამტკიცება

2024 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 25 ივლისს.

ქნ. ვახტანგ ტუკვაძე, დირექტორი

ქნ. გირა ბერიძე, მთავარი ბუღალტერი

სახსრები მთლიანად განთავსებულია ბანკში მიმდინარე და ვადიანი ანაზღაურების ანგარიშებზე, რომელიც ამყარებს კომპანიის ლიკვიდურობას.

5. სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკუროს სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო. კომპანია ატრაქციონების შეკეთებისათვის საჭირო სათანადო ნაწილების შესყიდვას ძირითადად ახორციელებს უცხოურ ვალუტაში. კომპანია სენსიტიური იყო სავალუტო კურსის ცვლილებების მიმართ. კურსის ცვლილება არსებით გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგზე.

6. საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

7. საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით). კომპანიას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა, განსაზღვროს კომპანიის რა ოდენობის განფინილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით.

8. ადმინისტრაციული მართვა

ადმინისტრაციული მართვის ზოგადი ქმედებები კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის წარმართვას და ადმინისტრირებას გულისხმობს. ამ მიმართულებით კომპანიაში წარმატებით მიმდინარეობს შიდაკონტროლის სისტემების დანერგვა, რაც არის საქმიანობის ეფექტურობისა და სანდოობის მაღალი დონის გარანტია.

კომპანიის თანამშრომლებისათვის დაგეგმილია სხვადასხვა სახის სწავლებების ჩატარება მათი საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით.

საწარმოს უშუალო ხელმძღვანელია დირექტორი, შემდეგ დონეზე დაქვემდებარებაშია ბუღალტერია, დაცვის უფროსი, მთ. ინჟინერი, იურიდიული განყოფილება, კადრების განყოფილება, უსაფრთხოებისა და კონტროლის განყოფილებები. ხოლო ქვედა დონეზე მათ ექვემდებარებიან უშუალოდ სპეციალისტები და რიგითი თანამშრომლები.

9. სამომავლო გეგმები და ხედვები

2025 წლისათვის კომპანია გეგმავს სრულიად ჩაანაცვლოს არსებული ატრაქციონები ახლით და ასევე მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით იგეგმება გადახდის სადებეტო სისტემის განახლება.

10. მმართველობითი ანგარიშგების დამტკიცება

2024 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 25 ივლისს.

ქნ. ვახტანგ ტუკვაძე, დირექტორი



ქნ. ცირა ბერიძე, მთავარი ბუღალტერი

